საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7598/01
07/08/2020

7598-01-2-202008072115

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 3 აგვისტოს N12068 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი საავტომობილო გზის კმ 5+530-ზე მდ. ვახაზე არსებული სახიდე გადასასვლელის ნაცვლად ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 12 ივნისის N5363/01 წერილით უკვე გეცნობათ, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა აღნიშნულ პროექტზე გაცემული სკოპინგის დასკვნით N19 (09.03.2020) განსაზღვრული საკითხები, რაც წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშშიც არ არის მოცემული, კერძოდ,

- მდინარე ვახას წყლის მინიმალური და საშუალო მრავალწლიური ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია ეროზიული პროცესებისა და საჭიროების შემთხვევაში ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ;
- გრაფიკულ ნაწილში საპროექტო განივკვეთში მოცემული უნდა იყოს მდინარის კალაპოტის გარეცხვის საანგარიშო დონე, ასევე კალაპოტის სიღრმით გარეცხვაზე გათვალისწინებული მოქნილი ლეიბის მუშა სიგანის შესაბამისი მნიშვნელობა მარაგების გათვალისწინებით.

ამასთან, წარმოდგენილ Shape ფაილზე და გზშ-ის დოკუმენტის გრაფიკულ ნაწილში საპროექტო ხიდის გარდა მონიშნულია საპროექტო ხიდთან მისასვლელი გზებიც, რომელთა სიგრძე მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად: 94 მ და 78 მ-ია. აღნიშნულ მონაკვეთებთან დაკავშირებული საკითხები გზშ-ის ანგარიშში არ არის განხილული, შესაბამისად საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით განახლებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე